სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის - 1 საშტატო ერთეული თანამდებობაზე ასარჩევად რექტორის 2024 წლის 27 მაისის #127/01-01 ბრძანებისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის აისტენტ პროფესორის -1 საშტატო ერთეული თანამდებობაზე ასარჩევად 2024 წლის 27 მაისის N 128/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 3 ივნისის N67/2024 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

# №4 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი "17" ივლისი 2024წ.

17:00 საათი, თსუ V კორპუსი, აუდიტორია № 317

**სხდომას ესწრებოდა:** კომისიის 5 წევრიდან ოთხი წევრი:

1. **ირმა რატიანი** - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. **ვლადიმერ მინაშვილი** - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი
3. **მარიამ მირესაშვილი** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. **ეკა ვარდოშვილი** - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

**დღის წესრიგი:**

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის - 1 საშტატო ერთეული და ქართული ლიტერატურის ისტორიის ს/ს/ ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის ასისტენტ პროფესორის - 1 საშტატო ერთეული სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ირმა რატიანის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე **თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის** 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა - **გაგა ლომიძემ.**

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე **ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის ასისტენტ პროფესორის** -1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა - **ლევან ბებურიშვილმა.**

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობითი დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, ორი კანდიდატის პაკეტის) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საბუთები.

**გაგა ლომიძემ** შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე იკავებდა საძიებელ აკადემიურ თანამდებობას, და ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის

პროფილს, თავად აქვს აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსების შედგენისა და წაკითხვის გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების მიება და მათი სასწავლო სამეცნიერო პრაქტიკაში რეალიზაცია. ნათელია, რომ კონკურსანტის სამეცნიერო მუშაობა ხელს შეუწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას სამეცნიერო სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას.

კონკურსანტის უკვე დაბეჭდილი პუბლიკაციები და თარგმანები გამოქვეყნებულია ადგილობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში და საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში; ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას; კონკურსანტს ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სამეცნიერო კონფერენციაში; არის რამდენიმე საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების რეცენზენტი, დოქტორანტთა კვლევითი პროექტებისა და სემინარების რეცენზენტი.

უცხოეთის ცენტრებთან ურთიერთობის გამოცდილებით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, სამეცნიერო პუბლიკაციებით, თარგმანებით და მზარდი სამეცნიერო პროგრესით კონკურსანტს უდავოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

წარმოდგენილ მოტივაციაში კონკურსანტ გაგა ლომიძეს კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარების, ისე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, თავისი კვლევის თემატიკით, მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით. (დეტალურად იხ. ოქმი №1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა").

**ლევან ბებურიშვილმა** შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ აღნიშნული კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას შემთხვევასიც გაითვალისწინა, რომ ის უკვე იკავებდა საძიებელ აკადემიურ თანამდებობას და წარმატებით უძღვებოდა დაკისრებულ მოვალეობას.

კონკურსანტის სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებულია ადგილობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში და საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში; ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას; კონკურსანტს ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული 7 სამეცნიერო კონფერენციაში.

წარმოდგენილ მოტივაციაში ლევან ბებურიშვილს კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი, დამაჯერებლად ასაბუთებს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში, თავისი კვლევის თემატიკით, მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით. (დეტალურად იხ. ოქმი №1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“).

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტების პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. კომისიის წევრებმა დასმულ კითხვებზე მოისმინეს კონკურსანტთა ვრცელი პასუხები, რომელიც მიემართებოდა მათი დარგების ისტორიისა და განვითარების პერსპექტივების შესწავლას; ლიტერატურული საკითხების კვლევისას თანამედროვე მეთოდოლოგიების აქცენტირებას; ლიტერატურული მოვლენების კვლევისას ეროვნული ლიტერატურის თავისებურებების, მათი სპეციფიკის, გენეზისის, ევოლუციის და კონკრეტული ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებას და ამ პერსპექტივიდან მსოფლიო სალიტერატურო პროცესებში ეროვნული ლიტერატურის მონაწილეობის წარმოჩენას, მისი ადგილის განსაზღვრას მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში და ეროვნულ ლიტერატურებს შორის არსებული განსხვავებებისა და მსგავსებების დადგენით ლიტერატურულ მოვლენათა კანონზომიერებების ჩვენებას საერთაშორისო-ისტორიულ კონტექსტში.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ ორივე კონკურსანტს აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. არიან მიზანდასახული და აქვს რეალისტური სამეცნიერო - კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. ორივე პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიების მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №2).

გამოცხადებულ ვაკანსიებზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) მხარი დაუჭირა:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ს/ს სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე **გაგა ლომიძის** კანდიდატურას;

2. ქართული ლიტერატურის ისტორიის ს/ს/ ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე **ლევან ბებურიშვილის** კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანია, ვინაიდან კონკურსანტების განათლება და სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაცემები, მიღწევები სრულად შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან. კონკურსანტთა სალექციო კურსები გამოირჩევა ახალი თანამედროვე მიდგომებითა და ინტერდისციპლინური ხედვით. მათ მიერ დაგეგმილი სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური აქტივობები ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის ტრანსფერს, რაც პოზიტიურად აისახება თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის ს/ს/ ინსტიტუტის პროგრამების მდგრადობაზე და გრძელვადიან დინამიკაში განვითარებაზე. ორივე კონკურსანტია წლების განმავლობაში თანამშრომლობს ჰუნანიტარული ფაკულტეტის შესაბამის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებთან და ამ ხნის მანძილზე მათ თავი გამოავლინეს, როგორც მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პირებმა, ორივე მათგანმა დაიმსახურა სტუდენტებისა და კოლეგების მხრიდან პატივისცემა.

ერთხმად დაადგინეს:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

- თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად ერთხმად გამოვლინდა პრეტენდენტი **გაგა ლომიძე**
- ქართული ლიტერატურის ისტორიის ს/ს/ ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის ასისტენტ პროფესორის 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად ერთხმად გამოვლინდა პრეტენდენტი **ლევან ბებურიშვილი**

2. გადაეცეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: /პროფ. ი. რატიანი/

კომისიის მდივანი: /პროფ. მ. მირესაშვილი/

კომისიის წევრები: /ასოც. პროფ. ვ. მინაშვილი/

/ასოც.პროფ. ე. ვარდოშვილი/

/ასოც. პროფ. ს. ტაბუცაძე/

თარიღი:

17.07.2024